

ყარაბაღის კონფლიქტი და გეოპოლიტიკური გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.02>

ანი ბუკია

საერთაშორისო ურთერთობების დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

anibukia.geo@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-3619-2946>

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ანალიზს, რომელიც 2023-2024 წლებში სომხური მოსახლეობის ეთნიკური წმენდით და რეგიონზე აზერბაიჯანის კონტროლის ძალისმიერი მეთოდის აღდგენით დასრულდა.

ნაშრომში, წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, რეალპოლიტიკა ყველაზე უკეთ ხსნის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დინამიკასა და მის თანმდევ შედეგებს, რაც განაპირობა გავლენიან სახელმწიფოთა ინტერესებმა (თუ, პირიქით, დაუინტერესებლობის პოლიტიკამ) სამხრეთ კავკასიის რეგიონში. მისი მზარდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობის მიუხედავად, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ანალიზი ცხადყოფს, რომ ადგილობრივი თუ რეგიონული კონფლიქტი მოგვარებადია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ შედეგით, რაზეც წინასწარ შეთანხმებულია საერთაშორისო საზოგადოება.

საკვანძო სიტყვები: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, რეალპოლიტიკა, სამხრეთ კავკასია, გავლენიან სახელმწიფოთა ინტერესები, გაყინული კონფლიქტები

The Karabakh Conflict and Geopolitical Challenges in the South Caucasus

Ani Bukia

PhD in International Relations, Georgian Technical University,

anibukia.geo@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-3619-2946>

Abstract

The paper analyzes the Nagorno-Karabakh conflict, which ended in 2023-2024 with the ethnic cleansing of the Armenian population and the forcible restoration of Azerbaijani control over the region. According to the conclusion presented in the paper, the theory of realpolitik best explains the dynamics of the Nagorno-Karabakh conflict and its consequences, which were determined by the interests (or, conversely, the disinterest) of Great Powers in the South Caucasus region. Despite its growing geostrategic importance, the analysis of the Nagorno-Karabakh conflict shows that every local or regional conflict can be resolved only when agreed upon in advance among the international community, with predetermined outcomes.

Keywords: Nagorno-Karabakh conflict, realpolitik, South Caucasus, Great Power Politics, frozen conflicts

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში შეფასებულია საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის ხარისხი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში, როგორც დასავლეთის, ისე რეგიონული აქტორების (რუსეთი, თურქეთი) მიერ განხორციელებული ძალისხმევა. ამავდროულად, საერთაშორისო ურთიერთობების პრეცედენტულობიდან გამომდინარე, შეფასებულია მთიან ყარაბაღზე თავდასხმის შედეგები, კერძოდ სეპარატისტული რეჟიმის დაშლის, აზერბაიჯანის მიერ ძალისმიერი მეთოდით რეგიონზე კონტროლის აღდგენის გავლენა კავკასიის რეგიონზე, გამომდინარე იქიდან რომ ამიერკავკასიის მესამე ქვეყნის, საქართველოს ტერიტორიის ერთი მეხუთედი ოკუპირებულია.

წინამდებარე ნაშრომი იყენებს თვისებრივ კვლევის მეთოდს რეგიონული პოლიტიკური პროცესების შესასწავლად, კერძოდ, საერთაშორისო პოლიტიკური

მოვლენებისა და კონფლიქტის დინამიკის საზოგადოებრივი და პოლიტიკური დოკუმენტების, ოფიციალური და არასამთავრობო წყაროების, მკვლევართა და ექსპერტთა შეფასებების კრიტიკულ ანალიზს.

ავტორი რეალპოლიტიკის თეორიის ჩარჩოს ფარგლებში აანალიზებს 2023 წლის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დასრულებაში რეგიონული აქტორების (საერთაშორისო საზოგადოების, რუსეთის) როლს, კონფლიქტის დასრულების შედეგებს, შემთხვევის კვლევის (case study) მეთოდის გამოყენებით. ავტორი აანალიზებს ამიერკავკასიის რეგიონზე (საქართველოს მაგალითზე) კონფლიქტის შესაძლო გავლენას ინტეგრირებულად, საერთაშორისო ურთიერთობების ზოგად კონტექსტში.

ძირითადი ნაწილი

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ისტორია მე-18 საუკუნიდან იღებს დასაბამს, როდესაც რუსეთმა სპარსეთის ყურის სანაპიროზე გავლენის მოპოვების მიზნით ოსმალეთსა და ირანში მცხოვრებ სომხურ ქრისტიანულ მოსახლეობას მისცა უფლება გადმოსახლებულიყვნენ აზერბაიჯანის კასპიის ზღვის მიმდებარედ არსებულ ვრცელ სახანოებში. ჯერ თურქმანჩაის, შემდგომ კი - ედირნეს სამშვიდობო ხელშეკრულების შედეგად, 130 000 სომეხი დასახლდა აზერბაიჯანის სახანოებში, მათ შორის, ნახჩივანისა და ყარაბაღის სახანოებში⁹. მართლაც, 1820 – 1920 წლებში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან დემოგრაფიულ ცვლილებებს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, სომეხთა სასარგებლოდ, რის შედეგადაც 2 მილიონზე მეტი მუსლიმი მოსახლეობა იძულებული გახდა, დაეტოვებინა საკუთარი სახლები, მათგან დაუზუსტებელი რაოდენობა კი ამავე პერიოდში რეპრესიებს შეეწირა. საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ, 1923 წელს, დაარსდა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაქვემდებარებაში. აღნიშნულმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ და ყარაბაღის ქედის მდებარეობამ ეს რეგიონი სრულად ჩამოაშორა სომხეთს. 1988 წელს ეთნიკურად სომეხმა მოსახლეობამ მოითხოვა ავტონომიური ოლქის სომხეთის დაქვემდებარებაში გადასვლა, რაც არ დაკმაყოფილდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი გაჩაღდა ომი - რეგიონზე ტერიტორიული კონტროლის მოპოვების მიზნით, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ყარაბაღის სომხური შეიარაღებული ძალები, სომხეთის მხარდაჭერით, წარმატებული

⁹ Tim Potier, *Conflict in Nagorno-Karabakh, Abkhazia and South Ossetia: A Legal Appraisal* (The Hague: Martinus Nijhoff Publishers, 2001).

აღმოჩნდა 1990-იანი წლების დასაწყისში, და შეძლო კონტროლის მოპოვება რეგიონზე¹⁰. 1992 წელს მაშინდელმა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება, მთიანი ყარაბაღის რეგიონზე, სომხეთისა და აზერბაიჯანის მონაწილეობით, კონფერენციის შექმნის შესახებ. გამართული მოლაპარაკებების შედეგად მხარეებს მშვიდობისთვის უნდა მიეღწიათ. 1994 წელს (უკვე) ეუთოს ბუდაპეშტის სამიტზე ჩამოყალიბდა ე.წ. მინსკის ჯგუფი, სამი სახელმწიფოს, კერძოდ რუსეთის, საფრანგეთისა და აშშ-ს თანათავმჯდომარეობით, რომელიც განაგრძობდა შესაბამისი მოქმედებების განხორციელებას (ე.წ. მინსკის პროცესი) მშვიდობიანობის აღსადგენად რეგიონში. ამავე წელს, ხელი მოეწერა ბიშკეკის პროტოკოლს, რომლითაც მხარეებმა იკისრეს ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ ეუთომ გამოყო ექსპერტთა გუნდი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით, სომხეთისა და აზერბაიჯანს შორის დიალოგი შეუძლებელი აღმოჩნდა - აზერბაიჯანი უპირობოდ მოითხოვდა მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანის ტერიტორიულ საზღვრებში დატოვებას და უარყოფდა ნებისმიერ მოთხოვნას, რაც მის ტერიტორიულ მთლიანობას უგულებელყოფდა (ამ პოზიციას ამყარებდა გაეროს უშიშროების საბჭოს 884 და ევროპის საბჭოს 1416 რეზოლუციები, რომლის მიხედვითაც მთიანი ყარაბაღი ოკუპირებული იყო სომხური ძალების მიერ). სომხეთი მიიჩნევდა, რომ მთიანი ყარაბაღი წარმოადგენს ცალკე პოლიტიკურ სუბიექტს, რომლის სუვერენიტეტზეც აღიარებულ უნდა ყოფილიყო საერთაშორისო დონეზე. ევროპის საბჭო წინააღმდეგი იყო რეგიონზე ნებისმიერი არჩევნების ჩატარების, გამომდინარე იქიდან, რომ 1991-1994 წლებში მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა, დაეტოვებინა რეგიონი, შესაბამისად, მისი შედეგები არ იქნებოდა ლეგიტიმური. საერთაშორისო საზოგადოება ამავე პოზიციაზე დარჩა 2007 წლამდე, როდესაც უარყო რეგიონში მთიანი ყარაბაღისთვის სუვერენიტეტის მინიჭების თაობაზე ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები და მხარეებს მკაცრად მოუწოდა მინსკის პროცესის ფარგლებში მიღებული ახალი პრინციპებისთვის, ე.წ. მადრიდის პრინციპების შესაბამისად ემოქმედათ. აღნიშნულის მიხედვით, სომხეთს აზერბაიჯანისთვის უნდა დაებრუნებინა მთიანი ყარაბაღი და მიმდებარე ტერიტორიები, რის სანაცვლოდ იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა შეძლებდა რეგიონში დაბრუნებას, სადაც სამშვიდობო კონტროლი საერთაშორისო სამშვიდობო ძალებს დაეკისრებოდა.

¹⁰ idem

აღსანიშნავია, რომ შეთანხმების მიღწევისა და კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის არგუმენტით, სამხრევი შეხვედრები შედგა - რუსეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. 2008 წლიდან მოყოლებული, თითქმის ყოველწლიურად (2010, 2011, 2012 წლები), რაც დადებითაც ფასდებოდა დასავლური სახელმწიფოების მიერ, ვინაიდან რუსეთი იყო მინსკის ჯგუფის წარმომადგენელი და ფორმალურად ვერავინ დააყენებდა ეჭვქვეშ მის აქტიურ ჩართულობას კონფლიქტის გადაწყვეტაში¹¹. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი საუბრობდა რეალური ნაბიჯების გადადგმის მნიშვნელობაზე და სტატუს კვოს შენარჩუნების მიუღებლობაზე, მისმა მუშაობამ, ფაქტობრივად, შედეგი არ გამოიღო. აღნიშნულის ძირითად მიზეზად სახელდება მინსკის ჯგუფის თავმჯდომარე სახელმწიფოების, კერძოდ კი აშშ-სა და საფრანგეთის სურვილის ნაკლებობა, ჩარეულიყვენ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში, გამომდინარე იქიდან, რომ ეს საკითხი მათ საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტს არ წარმოადგენდა. 2020 წელს გაჩაღდა ყარაბაღის მეორე ომი, რომელმაც მთლიანად შეცვალა რეგიონში ძალთა ბალანსის დინამიკა და საბოლოოდ ფარდა ახადა გარე სახელმწიფოების მიერ მართული მედიაციის არაეფექტურობას. ომის შედეგად აზერბაიჯანმა დაიბრუნა კონტროლი საბჭოთა კავშირის დროინდელ მთიანი ყარაბაღის ასს ოლქის ტერიტორიაზე. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას შუამავლობა გაუწია რუსეთმა, რამაც დასავლური მედიისთვის ნათელი გახადა, რომ მულტილატერალური არბიტრაცია უნდა ჩაენაცვლებინა კონკრეტულ სახელმწიფოებთან პირდაპირ მოლაპარაკებებს¹².

პირდაპირი მოლაპარაკება, მართლაც, გაიმართა 2022-2023 წლებში დასავლური სახელმწიფოების რამდენიმე დედაქალაქში, რამაც გააჩინა დასავლეთის კონფლიქტის მოგვარებით დაინტერესების იმედი, პირდაპირი ორმხრივი მოლაპარაკებების წარმოების გზით. მიუხედავად ამისა, ორმხრივი ოფიციალური შეხვედრები ფაქტობრივი შედეგის მომტანი არ აღმოჩნდა აზერბაიჯანისთვის, მან ისარგებლა მომენტით და 2022 წლის მიწურულს დაიწყო სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის დამაკავშირებელი ერთადერთი გზის, ლაჩინის დერეფნის ბლოკადა. ბლოკადა 10 თვის განმავლობაში გაგრძელდა და რეგიონი ჰუმანიტარულ კრიზისამდე მიიყვანა, რის შედეგადაც, აზერბაიჯანისთვის ნათელი გახდა, რომ დასავლეთი არ აპირებდა ყარაბაღელი სომეხი მოსახლეობის უსაფრთხოების

¹¹ Sabine Fischer, ed., *Not Frozen! The Unresolved Conflicts over Transnistria, Abkhazia, South Ossetia and Nagorno-Karabakh in Light of the Crisis over Ukraine*, SWP Research Paper, 9/2016 (Berlin: Stiftung Wissenschaft und Politik – SWP – Deutsches Institut für Internationale Politik und Sicherheit, 2016), <https://nbn-resolving.org/urn:nbn:de:0168-ssoar-48891-8>.

¹² Robert M. Cutler, "Armenia and Azerbaijan Reshape Their Future Through Direct Negotiation," *Central Asia-Caucasus Institute*, February 24, 2025

უზრუნველსაყოფად სამშვიდობო შეარაღებული ძალების გამოყენებას (International Politics and Society, 2023). 2023 წლის 19 სექტემბერს, აზერბაიჯანმა დაიწყო ფართომასშტაბიანი თავდასხმა თვითგამოცხადებულ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკაზე, რაც საერთაშორისო საზოგადოების მიერ მიჩნეულ იქნა ყარაბაღის მეორე ომის დასასრულს 2020 წელს ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევად. პირდაპირი თავდასხმის დაწყებიდან, 24 საათში, მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო ხელისუფლება, ე.წ. არცახის რესპუბლიკის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ ხელი მოეწერათ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისთვის, რაც გულისხმობდა საკუთარი თავდაცვის უპირობო განიარაღებას და აზერბაიჯანის კონტროლის სრულ აღდგენას რეგიონზე. მთიან ყარაბაღში მშვიდობიანი ეთნიკური სომეხი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა კვლავ რუსეთის სამშვიდობო ძალების იმედად დარჩა¹³.

გამომდინარე იქიდან, რომ კონფლიქტი რეგიონის ორ მეზობელ სახელმწიფოს შორისაა და მისი ხანგრძლივობა 30 წელიწადს აღემატება, მნიშვნელოვანია შეფასდეს კონფლიქტის დასრულებისთვის გამოყენებული საშუალებები, დასავლეთის რეაგირება კონკრეტულ ძალისმიერ მოქმედებებზე და მონაწილეობა კონფლიქტის გადაწყვეტაში. მინსკის ჯგუფი, რომელიც ეუთოს ეგიდის ქვეშ მოქმედებდა და სამ გავლენიან სახელმწიფოს (აშშ, საფრანგეთი, რუსეთი) აძლევდა კონფლიქტის დასრულებაში მედიაციის უფლებამოსილებას, ფაქტობრივად ვერავითარ შედეგზე ვერ გავიდა სომხეთ-აზერბაიჯანის დიალოგის მხარდაჭერაში.

აზერბაიჯანმა ბლოკადამდე რამდენიმე თვით ადრე, ჯერ კიდევ 2023 წლის თებერვალში, გახსნა საკონტროლო პუნქტი მთიანი ყარაბაღის შესასვლელთან, სწორედ ლაჩინის დერეფანთან. აღნიშნული ნაბიჯი ნალკეზად ხმაურიანად შეფასდა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, თუმცა, ოფიციალურად შეფასდა როგორც 2020 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დარღვევა¹⁴. ამავე პოზიციას იზიარებდა აშშ, საფრანგეთი, ევროკავშირი და რუსეთიც კი, რომელმაც განაცხადა, რომ აზერბაიჯანმა საკონტროლო პუნქტი თვითნებურად, რუსეთთან შეთანხმების გარეშე მოაწყო. აზერბაიჯანს, მხოლოდ მისი მოკავშირე, რეგიონში მნიშვნელოვანი გავლენის მქონე თურქეთი უჭერდა მხარს, რომელმაც გაამართლა აზერბაიჯანის

¹³ Selim Yilmaz, "Unraveling the Nagorno-Karabakh Conundrum: Deciphering Russia's Southern Caucasus Strategy," *Lectio Socialis* 8, no. 1 (2024): 1–16, <https://doi.org/10.47478/lectio.1347923>.

¹⁴ აღნიშნული პუნქტის კონტროლის უფლებამოსილება მხოლოდ რუსულ სამშვიდობო ძალებს ჰქონდა მინიჭებული

მიერ საკონტროლო პუნქტის მოწყობა, გამომდინარე იქიდან, რომ აზერბაიჯანი მოკლებული იყო მისი ტერიტორიის, მთიანი ყარაბაღის რეალურ კონტროლს¹⁵.

აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ მიმართული ძალისხმევა ამით არ დასრულებულა, პირიქით, საკონტროლო პუნქტის აღმართვიდან რამდენიმე კვირაში, იმ არგუმენტით, რომ სომხეთი მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე ბუნებრივ წიაღისეულს უკანონოდ მოიპოვებდა, გადაკეთა ლაჩინის დერეფანი, რაც საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან შეფასდა, როგორც უკიდურესი ზომა მშვიდობიანი მოსახლეობისთვის. აღსანიშნავია, რომ დერეფნის გადაკვეთის უფლებამოსილება არ მიენიჭა საერთაშორისო წითელ ჯვარსაც კი. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ დასავლეთი შემოიფარგლა აზერბაიჯანის ქმედებების მხოლოდ სიტყვიერი დაგმობით, და მის წინააღმდეგ რეალური ნაბიჯების გადადგმისგან თავი შეიკავა. ამის ნათელი მაგალითია ევროპარლამენტის მიერ მიღებული არამბოჭველი ძალის მქონე რეზოლუცია 2023 წლის ოქტომბერს, რომლითაც აზერბაიჯანს ადანაშაულებდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევისა და ადამიანის უფლებების დარღვევაში მთიანი ყარაბაღის რეგიონში, რასაც „სანქციები უნდა მოჰყოლოდა“. ზოგად ჭრილში ისაუბრა ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა ევროკავშირის გრენადის სამიტზე, განაცხადა რა, რომ ევროკავშირი დგას სომხეთთან და გმობს აზერბაიჯანის თავდასხმას. ამ შემთხვევაში, სანქციები დაწესება სიტყვიერადაც კი არ გაჟღერებულა¹⁶.

ევროკავშირი არაერთხელ გახდა კრიტიკის ობიექტი აზერბაიჯანის ბუნებრივი აირის ექსპორტში სანდო პარტნიორად მიჩნევისთვის, რის შესახებმაც ფონ დერ ლაიენმა 2022 წელს განაცხადა, და განაცხადა მზაობა 2027 წლისთვის ბუნებრივი აირის ექსპორტი გაეორმაგებინა ევროპაში, და ამით დაეკომპენსირებინა რუსეთის მიერ უკრაინის ომის დაწყების შემდეგ რუსეთისგან შემცირებული ოდენობით მიღებული ბუნებრივი აირი¹⁷. ბუნებრივია, აზერბაიჯანთან ზემოაღნიშნული დამოკიდებულებაც ამყარებდა ევროკავშირის პოზიციას, თავი შეეკავებინა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში უფრო აქტიური როლის მორგებისგან. დიდი როლი ითამაშა უსაფრთხოების ფაქტორმა, კერძოდ, კონფლიქტის არც ერთი მხარე არ უქმნის საფრთხეს ევროკავშირს. შესაბამისად, ევროკავშირმა შეინარჩუნა ზომიერი

¹⁵ International Crisis Group, *New Troubles in Nagorno-Karabakh: Understanding the Lachin Corridor Crisis*, 2023

¹⁶ Nicu Popescu, "How the EU Became Marginalised in Nagorno-Karabakh," *European Council on Foreign Relations*, accessed June 26, 2026, <https://ecfr.eu/s>.

¹⁷ Nicu Popescu, "How the EU Became Marginalised in Nagorno-Karabakh," *European Council on Foreign Relations*, accessed June 26, 2026, <https://ecfr.eu/s>.

პოლიტიკა და რეგიონში დაინტერესებულ აქტორებთან, რუსეთსა და თურქეთთან ურთიერთობების ზედმეტად დამაბვისგან თავი შეიკავა.

სუსტი იყო საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა ინსტიტუციების მოწოდებაც დასრულებულიყო მთიანი ყარაბაღის რეგიონის მოსახლეობის ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა. ამ მხრივ, აღსანიშნავია 2023 წლის ივლისს შემდგომ კი სექტემბერში, საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს მოწოდება აზერბაიჯანის მიმართ, აღედგინა ლაჩინის დერეფანზე ხალხის, ტრანსპორტის და ტვირთის შუეფერხებელი მოძრაობა ორივე მიმართულებით, თუმცა აღნიშნულს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია¹⁸.

მთიანი ყარაბაღის რეგიონში წარუმატებელი აღმოჩნდა რუსეთის სამშვიდობო მისია, მთელი რიგი მიზეზების გამო. მისიამ ვერ შეაჩერა აზერბაიჯანის ეკო-აქტივიზმის ქოლგის ქვეშ გატარებული პოლიტიკა ყარაბაღში მცხოვრები ეთნიკური სომეხი მოსახლეობის წინააღმდეგ, რამაც სიცოცხლისთვის აუცილებელი საკვებისა და დახმარების გარეშე დატოვა ათასობით მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის ბავშვები. ლაჩინის დერეფნის ჩაკეტვით აზერბაიჯანმა მოიმზადა ნიადაგი უკვე დასუსტებულ რეგიონზე თავდასხმის განსახორციელებლად, რასაც წინ არავინ აღუდგებოდა. რუსეთი წავიდა იმ დათმობაზე, რომ რეგიონში ბალანსი აზერბაიჯანის მოკავშირის, თურქეთის სასარგებლოდ გადახრილიყო, სანაცვლოდ კი, მისი ჩაურევლობის პოლიტიკით შეძლო სომხეთისთვის დაემტკიცებინა, რომ ახალი ხელისუფლების მიერ საგარეო პოლიტიკის რუსეთისგან დამორება უყურადღებოდ არ დარჩებოდა ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან.

რუსეთ-სომხეთის ურთიერთობები დაიძაბა 2018 წლიდან, ე.წ. ხავერდოვანი რევოლუციის შედეგად სომხეთში პროდასავლურად განწყობილი ხელისუფლების მოსვლიდან. ეს ნაბიჯი ლიბერალური დასავლეთის მხრიდან აღქმულ იქნა, როგორც დემოკრატიული წინსვლისკენ მიმართული ძალისხმევა, რის შედეგადაც სომხეთი დემოკრატიულობის ხარისხის ბევრად მაღალი მაჩვენებლით დაფიქსირდა დასავლურ ანგარიშებში დემოკრატიის ხარისხის შესახებ. აღნიშნული ნარატივი ფაშინიანმა საკუთარი საგარეო პოლიტიკის გასამყარებლად მიმართა და მიზნად დაისახა, ახალი იმპულსი მისცემოდა ერევანსა და დასავლეთს შორის ურთიერთობას. სომხური ხელისუფლება ცდილობდა მოეზიდა ინვესტიციები აშშ-დან და ევროკავშირიდან, ხელისუფლებაში მნიშვნელოვან თანამდებობებზე დანიშნა პირები, რომლებსაც განათლება მიღებული ჰქონდათ აშშ-სა და ევროპულ

¹⁸ Human Rights Watch, “We Try to Stay Invisible: Azerbaijan’s Escalating Crackdown on Critics and Civil Society,” October 8, 2024

სასწავლებლებში, და სხვამრივ ინარჩუნებდნენ მნიშვნელოვან კავშირებს დასავლეთთან. აღნიშნული სტრატეგია რუსეთის მხრიდან შეფასდა როგორც პოლიტიკური „ფლირტი“ (Reuters, 2023). რუსეთისთვის მიუღებელი იყო 2018 წლის რევოლუციაც, რომლისთვისაც, კრემლის მტკიცებით, ნიადაგი მოამზადა სწორედ დასავლეთმა სახალხო არეულობებისა და პროტესტების დაფინანსებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საბოლოო ფაზაში აზერბაიჯანის მხარდაჭერით, რუსეთმა „დასაჯა“ სომხეთი მის მიერ უკანასკნელ წლებში გატარებული პოლიტიკის გამო¹⁹.

მთიან ყარაბაღში მცხოვრები ეთნიკური სომეხი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს (მთიანი ყარაბაღის მეორე ომის მიწურულიდან (2020 წ.) აზერბაიჯანის 2023 წლის თავდასხმის ჩათვლით) აფასებს თავისუფლების სახლის ფაქტების დამდგენი მისიის ანგარიში²⁰, რომლის მიხედვით, ბაქოს სამხედრო შეტევა და ბლოკადის, შიმშილისა და მუქარების გამოყენება იყო სასტიკი ტაქტიკა, რაც ემსახურებოდა ეთნიკური სომხების ძალადობრივ გამოძევებას რეგიონიდან. ამის შედეგად, შეიქმნა სახიფათო პრეცედენტი, რამაც შესაძლოა წაახალისოს, იმავე, და მეზობელ რეგიონებში მოქმედი ავტორიტარული რეჟიმები - ძალის გამოყენებით კონფლიქტის მოსაგვარებლად. ანგარიშში წარმოდგენილი მტკიცებულებები ემთხვევა ეთნიკური წმენდის გაეროს ექსპერტთა კომისიის მიერ იუგოსლავიის კონტექსტში შემუშავებულ განსაზღვრებას. ანგარიშზე ამერიკულ ანგარიში საბოლოოდ წარდგენილ იქნა ეუთოს კონფერენციაზე ვარშავაში 2024 წლის ოქტომბერში²¹. დასკვნაში აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანის რეჟიმს უნდა დაეკისროს სამართლებრივი პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებზე, და რომ დასტურდება ეთნიკური სომეხი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტი, რაც გამოიხატა 100 000-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლის იძულებით გადაადგილებაში, იმდენად, რამდენადაც აზერბაიჯანის წინასწარ დაგეგმილი კამპანიის შედეგად შეუძლებელი გახდა მათი უსაფრთხოდ და ღირსეულად ცხოვრების გაგრძელება რეგიონში. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, საერთაშორისო საზოგადოება დღემდე თავს იკავებს ყოველგვარი სანქციისა თუ იძულებითი ზომისგან აზერბაიჯანის წინააღმდეგ. თავისუფლების სახლის ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციით, უნდა მოხდეს საერთაშორისო სისხლის

¹⁹ Ali Valizadeh and Fatemeh Erfani, "The Reasons for the Change in Russia's Approach to the First and Second Karabakh Wars," *Regional Studies Journal*, Faculty of Law & Political Science, University of Tehran, 2023.

²⁰ არასამთავრობო ორგანიზაცია თავისუფლების სახლთან ერთად იმუშავა ბელგიურმა, სომხურმა და უკრაინულმა პარტნიორმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა,

²¹ Freedom House, *Special Report on the Ethnic Cleansing of Nagorno-Karabakh: Why Are There No Armenians in Nagorno-Karabakh? Fact-Finding Report Summary*, June 27, 2024

სამართლის სასამართლოს მიერ ადამიანის წინააღმდეგ განხორციელებული და ომის დანაშაულების გამოძიება და შესაბამისი პირების პასუხისგება, რაც შესაბამისმა სახელმწიფოებმა უნდა მოითხოვონ. ასევე, ამოქმედდეს მიზანმიმართული სანქციები, როგორცაა ვიზის აკრძალვა და აქტივების გაყინვა, აზერბაიჯანის მაღალჩინოსნების, სამხედრო ლიდერებისა და იმ პირების მიმართ, რომლებიც ბრალდებულნი არიან მძიმე ადამიანის უფლებათა დარღვევებსა და ომის დანაშაულებში. იმის გათვალისწინებით, რომ სომხეთის ამჟამინდელი ხელისფულების მიერ კონფლიქტის დასასრული მისაღები აღმოჩნდა, ბუნებრივია, ზემოაღნიშნული ანგარიში ვერ შეიძენს რელევანტურობას - „30 წლის განმავლობაში ჩვენ, უბრალოდ, ვკარგავდით დროსა და რესურსებს პრობლემაზე, რომელიც თავდაპირველად გადაუჭრელი იყო... ყველა ის რესურსი, რომელიც უნდა გამოგვეყენებინა სახელმწიფოს, სომხეთის რესპუბლიკის შესაქმნელად, ჩავდეთ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის შექმნის გადაუჭრელ პრობლემაში“²². მთიანი ყარაბაღის მიმართ პოლიტიკის ასეთი მკვეთრი შემობრუნების შესაძლებლობა (მისი სომხური იდენტობის ქვაკუთხედად გამოცხადებიდან ქვეყნის განვითარებისთვის „ტვირთად“ აღიარებამდე) ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ სომხეთმა ვერ შეძლო მყარი საგარეო პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება მისი დამოუკიდებლობის ხანმოკლე ისტორიაში. ასეთ პირობებში სახელმწიფო ლიდერის და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური თანამდებობის პირების შეცვლამ შეიძლება ძნელად პროგნოზირებადი შედეგები გამოიწვიოს სომხეთის საგარეო პოლიტიკაში.

დასკვნა

მთიანი ყარაბაღის 3 დეკადიანი კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით დასრულება მხარე სახელმწიფოს მიერ, ერთი შეხედვით, აზერბაიჯანის გავლენის ზრდაზე მიუთითებს, რაც განპირობებულია ერთი მხრივ, მისი ევროკავშირის პარტნიორობით ბუნებრივი აირის ექსპორტის საკითხში, მეორე მხრივ, კი თურქეთთან მზარდი თანამშრომლობით. ეს კი საინტერესოა რუსეთისთვის, რეგიონში დასავლური გავლენის გავრცელების პრევენციისთვის. ამავე პასუხში შეგვიძლია ვიპოვოთ ახსნა იმისა, თუ რატომ არ შეეწინააღმდეგა რუსეთი ამგვარ ამკარა არაპროპორციულ, თუ არა არაკანონიერ ზომას აზერბაიჯანის მხრიდან და დაუშვა ეთნიკური სომეხი მოსახლეობის ადამიანის უფლებების მასობრივი ხელყოფა, ჰუმანიტარული კრიზისი ლაჩინის დერეფნის მოსახლეობისთვის. წინამდებარე კვლევა მიზეზად ასახელებს, ერთი მხრივ, სომხეთის დასჯას რუსული კურსიდან

²² Nikol Pashinyan, interview by *Panorama*, December 23, 2024, cited in “Pashinyan admits 'a big mistake' over Karabakh negotiation process,” *Panorama*, accessed July 1, 2025, quote reproduced in analysis.

გადახვევის საპასუხოდ. ამავდროულად, რუსეთმა თავიდან აიცილა პოტენციური დაპირისპირება მის მოკავშირე თურქეთთანაც, რომელიც აზერბაიჯანს უჭერდა მხარს.

რუსეთის მხარდაჭერის შემცირების პირობებში, სომხეთი იძულებული გახდა, გადაეხედა საკუთარი საგარეო პოლიტიკური ვექტორისთვის და გაემლიერებინა ორიენტაცია დასავლურ ინსტიტუტებზე. ამის ნათელ დასტურად შეგვიძლია განვიხილოთ სომხეთის მიერ რომის სტატუსის რატიფიკაცია. აღნიშნული ნაბიჯი გულისხმობს ქვეყნის ვალდებულებას, შეასრულოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გაცემული დაკავების ორდერი, რაც პოტენციურად შეეხება რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის დაკავებას სომხეთის ტერიტორიაზე ვიზიტის შემთხვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Faulconbridge, Guy. "Russia Tells Armenian PM: You Are Making a Big Mistake by Flirting with West." Reuters, October 4, 2023. [ხელმისაწვ. 01.07.2025]

<https://www.reuters.com/article/us-armenia-russia-idUSKBN3K20FP>.

Fischer, Sabine, ed. *Not Frozen! The Unresolved Conflicts over Transnistria, Abkhazia, South Ossetia and Nagorno-Karabakh in Light of the Crisis over Ukraine*. SWP Research Paper, 9/2016. Berlin: Stiftung Wissenschaft und Politik – SWP – Deutsches Institut für Internationale Politik und Sicherheit, 2016. <https://nbn-resolving.org/urn:nbn:de:0168-ssoar-48891-8>.

Freedom House. Special Report on the Ethnic Cleansing of Nagorno-Karabakh: Why Are There No Armenians in Nagorno-Karabakh? Fact-Finding Report Summary. June 27, 2024. [ხელმისაწვ. 01.07.2025] <https://www.armenian-genocide.org/uploads/Karabakh/206.pdf>

Lucarelli, Sonia. "The Crisis of the Liberal World Order: At Home and Abroad: *Geopolitics and Democracy: The Western Liberal Order from Foundation to Fracture* by Peter Trubowitz and Brian Burgoon. New York: Oxford University Press, 2023. xvii + 245 pp. ISBN 978-0-19-753540-0; 978-0-19-753541-7 (pbk); 978-0-19-753544-8 (ebk)." *The International Spectator* 1–3 (2025). <https://doi.org/10.1080/03932729.2025.2450879>.

Morgenthau, Hans J. *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*. New York: Alfred A. Knopf, 1948.

Neset, Siri, Mustafa Aydin, Ayça Ergun, Richard Giragosian, Kornely Kakachia, and Arne Strand. *Changing Geopolitics of the South Caucasus after the Second Karabakh War*:

Prospect for Regional Cooperation and/or Rivalry. CMI Report 2023:4. Bergen: Chr. Michelsen Institute, 2023.

Potier, Tim. *Conflict in Nagorno-Karabakh, Abkhazia and South Ossetia: A Legal Appraisal*. The Hague: Martinus Nijhoff Publishers, 2001.

Valizadeh, Ali, and Fatemeh Erfani. "The Reasons for the Change in Russia's Approach to the First and Second Karabakh Wars." *Regional Studies Journal*, Faculty of Law & Political Science, University of Tehran, 2023. (Received: June 25, 2023; Approved: July 12, 2023).

Yılmaz, Selim. "Unraveling the Nagorno-Karabakh Conundrum: Deciphering Russia's Southern Caucasus Strategy." *Lectio Socialis* 8, no. 1 (2024): 1–16.

<https://doi.org/10.47478/lectio.1347923>.